№ 178

კვირა, 19 აგვისტო, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877–1901

ივერია

№ 178

კვირა, 19 აგვისტო, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 1—2 ს.

პ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ქართული დრამატიულის საზოგადოების გამგეობა.

სექტემბრის პირველ რიცხვებში გამართავს

გამოსაცდელ წარმოდგენას

ვისაც ჰსურს ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება, იმან უნდა მიჰმართოს საზოგადოების კანტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ) ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე.

(55ვ—7)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია

აცხადებს, რომ ამა წლის ენკენისთვის პირველ დღიდან თავისუფლდება როინაშვილის ფოტოგრაფიის **გამგის ადგილი.** ვისაც ჰსურს ეს ადგილი დაიჭიროს, მან უნდა თხოვნით მიჰმართოს საზოგადოების გამგეობას. ფოტოგრაფიის ხელობის ცოდნა სავალდებულოა. ჯამაგირი თვეში იქნება 50 მან. და წმინდა მოგებიდგან 25%.

(—6—)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნმლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (ნ.) ტელეფ. 791.

ახალი ამბავი

⁂ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე გემით „Прутъ“-ით 25 აგვისტოს დილით ბათუმში მობრძანდება და აქედგან მაშინვე ბორჯომს წაბრძანდება.

⁂ როგორც პეტერბურგიდგან იუწყებიან, შინაგან საქმეთა მინისტრს კავკასიის ადმინისტრაციასთან მიწერ-მოწერა თურმე აქვს იმის შესახებ, რომ კავკასიის საახალშენო დებულება გაუქმებულ იქმნეს და ამის მაგივრად ახალშენები საზოგადო ადმინისტრაციას დაუმორჩილონ.

⁂ ტფილისის ტრამვაის ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენლისა და ტრამვაის მსახურთა შორის სამუშაო დროის შესახებ აღძრული ლაპარაკი ამ ჟამად ისე იქმნა გათავებული, რომ ორი წყობა კონდუქტორებისა და ცხენების გამრეკთა იყოლიონ და ამუშავებდნენ ზაფხულობით არა უმეტეს 9 საათისა. მაგრამ ამის-და მიხედვით სამუშაო ფასიც დაუკლიათ და 1 მან. და 14 კაპიკიდგან 93 კაპ. დაუწევიათ. ამასთანავე გამორკვეულია დაწვრილებით, რა და რა მიზეზით როგორ უნდა იქმნენ ხოლმე დაჯარიმებულნი მსახურნი. თვითოეულს ტრამვაიზედ მომუშავეს მიეცემა წიგნაკი, რომელშიაც მუშაობის პირობები დაწვრილებით იქმნებიან მოხსენებულნი. ეს პირობები მუშაობისა 19 აგვისტოდგან იქმნება შემოღებული.

⁂ გრუზინსკი რაზმის კაპიტანს კრივიცკის 17 მაისს თავისის ჯარის ბანაკის მახლობლად კარგა დიდ-ძალი გადაუდნობელი კალა უპოვნია. როგორც კაპიტანი ფიქრობს, კალა რკინის გზის სახელოსნოებიდგან უნდა იყოს მოპარული. სახელოსნოების უფროსმა მოხელე გაგზავნა შესამოწმებლად, მართლა რკინის გზისაა ეს კალა თუ არა. გამოძიებამდე ნაპოვნი კალა კრივიცკის კარავში ინახება.

⁂ ქალაქის გამგეობამ მიანდო ქალაქის ინჟენერს ტრამვაის უსახელო საზოგადოების მიერ წარდგენილ პროექტის შესახებ თავისი აზრი წარუდგინოს, სად და როგორ უნდა იქმნეს ელექტრონის ტრამვაი გაყვანილი, ან არსებული ლიანდაგი როგორ უნდა იქმნეს ღარიან ლიანდაგით შეცვლილი.

⁂ მევენახეობისა და მებაღეობის სკოლისათვის სოფ. ოძისში მამულის შემწირველი თავ. ზ. გ. ერისთავი მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ამ სკოლის მზრუნველად დაუმტკიცებია.

⁂ მცხეთის სადგურიდგან იუწყებიან, რომ 17 აგვისტოს საქონლის მატარებლიდგან ვაგონების მოხსნის დროს კონდუქტორს ლუკა გარიგოს მარჯვენა ლავიწი მოსტეხია. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

⁂ ქალაქის გამგეობის წევრს თვ. ვას. ჩერქეზიშვილს ქალაქის გამგეობაში წინადადება შეუტანია, რომ წყნეთის ქუჩა ქალაქის ხარჯით იქმნეს მოკირწყლული და შემოდგომიდგან ტრამვაის ვაგონებმა შეიძლონ სიარული.

⁂ სიღნაღის ქალაქის მოურავს ტერ-ოვაქოვს თავისს თანამდებობაზედ უარი განუცხადებია.

⁂ როგორც „Нов. Обозр.“-ს ატყობინებენ დეპეშით პეტერბურგიდგან, გამოქვეყნებული თურმეა, დარკვეთ-საჩხერის რკინის გზის შტოსათვის ლიანდაგის გასაყვანად საჭირო მიწები შეიძინოს რკინის გზის გამგეობამ.

⁂ როგორც სოფ. ზემო-ნიჩბისიდგან იუწყებიან, საქონელს ჭირი გასჩენია.

⁂ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამგე-კომიტეტმა გუშინ დეპეშა გაუგზავნა მიწად მოქმედების სამინისტროს, რომ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო გამოფენის გახსნა 2 სექტემბრამდის გადაიდოვო.

⁂ ყოველ დღე გამოფენის გამგე კომიტეტს მრავალი ექსპონატები მოსდის კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან. განცხადებების მიღება გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად ჯერაც კიდევ არ შეწყვეტილა.

⁂ ორშაბათს, 20 აგვისტოს, საღამოზედ ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება შეერთებული სხდომა ზოგიერთი საქმეების განსახილველად გამგეობისა და იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს იმის შემუშავება, თუ ქალაქმა რა მონაწილეობა უნდა მიიღოს საქრთველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულების გამო განზრახულ მომავალ საიუბილეო დღესასწაულში.

⁂ გუშინ-წინ ტფილისის ქალაქის გამგეობას თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარუდგინა განსახილველად წყლის განსაცდელისაგან დამხსნელ საზოგადოების მოწერილობა, რომ მტკვრის ნაპირებზედ საბანოები იქმნას გამართული. გამგეობამ საჭიროდ სცნო ამ საქმის განხორციელება და გარდასწყვიტა დაავალოს ქალაქის ინჟენერს გააშინჯოს ადგილები და შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა.

⁂ ტფილისის მედროგეებმა სთხოვეს ტფილისის ქალაქის გამგეობას გაანთავისუფლონ ისინი ცხენთა გარდასახადისაგან.

⁂ ტფილისის ქალაქის მოურავის განკარგულებით, ალექსანდრეს ბაღში დასდგამენ კიდევ ფარნებს ჲ ბაღს ღამის 11 საათზე ადრე არ დაჰკეტენ, რომ ხალხი შეძლება მიეცეს იქ სეირნობისა.

კავკასიის მომავალი გამოფენა

გამოფენაზედ მოწვეულ არტისტებსა ჲ მომღერალთა დასებს აგრეთვე მოცეკვავეთ 27 მარიამობისთვეს მოელიან.

დამაკვირდი.

როცა ფული ჰლაპარაკობს, მაშინ მართალი მდუმარებს.

ყველა ის მარგებელი არ არის, რაც გემრიელია.

მონტენი

ზეალმავალი შეიძლება შედგეს კიდეც და ქვე დაქანებული-კი—არასდროს.

ბონაპარტე.

ნადუღი

II

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს.

„კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“: ენა გრძნობაგონების გზა და ხიდია და სიტყვიერება მისივე უტყუარი სარკე.

ამ კანონს კერძოდ თვითოეულ კაცად-კაცადის გარდა, საზოგადოთაც, მსოფლიოდ, ერებიც ექვემდებარებიან. გინდა შეისწავლო ისტორიულად რომელიმე ხალხი? გამოიკვლიე და გაარკვიე მისი ენა.

ზეპირ-სიტყვაობა გადასულ ჭირნახულის სადაროა, ეროვნობის თავ-შესაფარი... საისტორიო საძირკველი... ეროვნულ პოეზიის სიმდიდრე მის წარმომშობ ხალხის სიდიადეა. და ამ მხრით არც ჩვენ, ქართველები, დაუჩაგრივართ ბედს: ჩვენებური საგულისხმო იგავ-არაკები, ჩამაფიქრებელი ზღაპრები და სხარტული ანდაზები ბევრს რასმე გვეუბნებიან გარდასულიდგან, მაგრამ... მაგრამი ის არის, რომ „კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო“.

დიახ, „კარგი გამგონი“, ესე იგი შეგნებული... მაგრამ—კიდევ მაგრამ — ყოველთვის და ყოვლიფრის შეგნება განა ადვილია? მე-კი ჩემდათავად ვიტყვი: ბევრი მიფიქრია ჩვენს ქართულს ენაზე, დავკვირვები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ: ხან ავფრთოვანებულვარ, ხან დავნაღვლიანებულვარ, უძილობით ხომ ღამეები გამიტეხია და ზოგი რამ მაინც ვერ წარმომიდგენია ნათლად. მაგალითად, სიტყვა „უცხო"... „საუცხოვო" ნიშნავს მეტად კარგს, წუნ დაუდებელს. და ნუთუ ჩვენი ხალხი კარგს ღმრთსაწონს მხოლოდ თავისს სამშობლოს გარედ ჰხედავდა? რად იყო თავისს თავზე გულ-გატეხილი და უცხოებზე დიდი აზრის მექონი, მაშინ როდესაც ქართველი ტომი მთელს აზიაში, ყოველგან, სახელ-განთქმული და პატივცემული იყო!.. თვით დაუძინარი მტრებიც კი აფასებდნენ, და მაშინ როდესაც სხვა ტომების ქრისტიანებს უსასყიდლოდ იერუსალიმში შესვლა არ შეეძლოთ, ქართველებისათვის გზა ხსნილი იყო!

ეს რაღაც ძნელად გამოსარკვევი ეროვნული ახირებულობაა, რომელიც თვით ქართველ ერსავე შეუნიშნავს ჲ ანდაზა დაუდვია: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო". მაშ რითი უნდა აიხსნას ეს აზრის ორჭოფობა? სად არის ამ ორტოტი წყაროს ისტორიული სათავე? და ან მისი არხი ვის ჲ როდის გაუყვანია?

ქართველი ერი იმდენად გამობრძმედილი იყო ქრისტიანობაში, რომ მოციქულებრივ სათნოება და თავ-მდაბლობა ზნეთ ჰქონდა გადაქცეული. სხვას უფრო ნაკლებ დასჯერდებოდა, ვიდრე თავისს-თავს. გარეშეს იმას შეუნდობდა, რასაც შინაურს არ აპატიებდა.

რუსეთში ერთ ქართველს, რომელიც ქალმა ალტაცებაში მოიყვანა, ჰკითხეს: „საქართველო მშვენიერების ბუდეა და ნუ თუ ჯერ არ გინახავთ ამისთანაო?" ქართველმა გულ-მართლად მიუგო: „ბაღში ვარდი ჩვეულებრივია, მაგრამ უდაბნოში კი ასკილიც გასაკვირველიაო!.." ეგება ამ სიტყვებმა, ცოტათი მაინც არის, აგვიხსნას ის ჩვენებური ახირებული აზრი: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო" და კარგი და მოსაწონი მხოლოდ „უცხო" და „საუცხოვოაო?..."

ეს თუ ასეა, ეტყობა, რომ ქართველი მცირე აზრისა არ ყოფილა თავისს თავზე და პირ-იქით, ზემომოყვანილი ახირებული აზრი გულის სიდიადეს და სულის სიმაღლეს წარმოუთქმევინებია.

კეთილი და პატიოსანი!. მაგრამ... ყოველ დროს თავისი შესაფერი ავ-კარგი ახლავს თან: ერთ საუკუნეში ის არის მოსაწონი და გამოსადეგი, რაც მეორეში უსარგებლო და დასაგმობი. ძველად, ეგება, დიახ კარგი იყო თავის თავის არაფრად ჩაგდება, მაგრამ დღეს კი აღარ ვარგა, მით უფრო, რომ გარემოება იცვალა და მოთხოვნილებაც სულ სხვა გვარია...

სპარსულ-პართულმა მედიდურობამ გავლენა იქონია აღმოსავლეთ საქართველოზე და ეს ძველებური, ზემოთქმული, ანდაზა არა თუ დაავიწყა, სრულიად გადაუსხვაფერა და დღეს ამერლობა თავისს „შინაურ მღვდლებს" ქათალიკოზის ღირსებით იხსენიებს. დასავლეთ საქართველოში კი იგივე ძველი ანდაზა გადაუკუღმართდა და არა თუ შენდობას არა სთხოვენ „შინაურ მღვდელს", პირ-იქით შეჩვენებასაც აკისრებენ უმართლოდ და აი სად არის ჩვენის შეფორხებისა და უკან-უკან დაწევის სათავე...

ეს ჩემი აზრი, ვიცი, ბევრს არ ეპიტნავება, მაგრამ ნათქვამია: „მგლის შიშით ფარავის გაუწყვეტიაო?" მათის მორიდებით ვერც მე გადავთქვამ იმას, რაზედაც დარწმუნებული ვარ. ამ შემთხვევაში ჩემის რწმენის საწინააღმდეგო აზრი რუსულ მწერლობაშიაც კი იყო რამდენჯერმე გაკვრით გამოთქმული: „არსად არც ერთი ერი ისე არ აფასებს და იმდენად პატივს არა სცემს თავისს გამოჩენილ მწერლებსა და მოღვაწეებს, როგორც ქართველებიო" მაგრამ ეს შეცდომაა, ერთის შეხედვით, ჩქარ თვალ-გადავლებით მიღებული და დაჯერებული.

ის კი მართალია, რომ ჩვენში ყველანი სცნობენ დიდსა და პატარას, მათი სახელი ენაზეთ აკერიათ, სიცოცხლეში ტაშის ცემით აყრუებენ და სიკვდილის შემდეგ გვირგვინებს აყრიან თავზედ, მაგრამ ესე ყველა „მსახიობრივია", წამხედურობით გამოწვეული და არა შეგნებული და ღირსეულად მინაძღვნი რამ!.. როცა დაბლიდგან ბრბო შეჰყურებს მაღლა თოკზედ მოსიარულე ჯამბაზს, რასაკვირველია, იმ დროს სიამოვნობს, მოსწონს და ქების ტაშით „ვაშა, ვაშას" შეჰყვირის. მაგრამ რა კი თვალს გაიძღობს და მოშორდება, მერე აღარ კითხულობს, თუ რა დაემართა მის მოწონებულ გმირს: უცაბედად თითონ იღრძო ფეხი, თუ სხვებმა განძრახ მოატეხინეს კისერი?..

ჩვენში ჯერ-ჯერობით კიდევ მოღვაწის დაფასება და მოწონება, იგივე საჯამბაზო „ვაშა! ვაშა!" და ტაშის კვრაა... და ვინ არა გრძნობს, რომ კერძო ცხოვრებისათვის „შინაურ მღვდლობაზე" გარეული „მგლობა" უფრო; სასარგებლო და გამოსადეგია?.. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ მოღვაწეთა სანუგეშოდ კიდევ სხვა ანდაზაც დარჩენილა ძველთაგან: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსაო.„

აკაკი

დაბა ჲ სოფელი

სოფ. გურჯაანი (სიღნაღის მაზრა). სიღნაღის მაზრის სოფელ გურჯაანის საფოსტო გზის პირს, ერთს ჩავარდნილს ადგილას იმყოფება ტალახი ვეძა, რომელსაც „ახტალას" უწოდებენ. ამ ჩავარდნილს ადგილას ნაპირები აწეულ-ავარდნილი აქვს და ტყით შემოსილია. საბანებელი ტალახი ბუყ-ბუყით ამოჩუხჩუხებს ათ თვალად, რომელიც წარმოადგენს გუბეებს. ტალახი ტყვიის ფერისაა, გემო აქვს მლაშე და მძიმე სუნი სდის. ამ ტალახში, როგორც ამბობენ, მოიპოვება რკინა, თიხა, მინა, მაგნეზი, კირი, გოგირდი, ტალი და ნავთი, რომელსაც ზევ-ზევით მოიგდებს ხოლმე. წუმწუმა რომ მოუკიდოთ, გაზი იფეთქებს და ალი მაღლა ავარდება.

გუბეები ძრიელ ღრმაა და ისეთი თვისება აქვს, რომ კაცს არასოდეს არ ჩასძირავს. ზამთრობით ეს ადგილი მიჩუმებულია, არც ხალხი და არც საქონელი აქ არ ტრიალებს, ზაფხულობით-კი სდგამენ კარავებს, ფანჩატურებსა და ბანაობენ. საქონელს ცალკე აბანავებენ, კაცები ცალკე ბანაობენ და ქალები ცალკე მოფარებით. პატარა ბიჭებიც, თათარაში ამოვლებულ ჩურჩხელასავით ტიტლიკანები ახტიან და გასაბანებლად, ლაფის მოსაშორებლად წყაროსაკენ გარბიან. კაცი პირველად ვერა ჰბედავს აქ ბანაობასა და სასაცილოდ მიაჩნია, თავისს ხელით ლაფი როგორ დაისხას, მაგრამ ბოლოს მაინც მორჩილდება და სამკურნალო ლაფში ჩურჩხელასავით ევლება. როგორც ამბობენ, ახტალა არჩენს ყოველგვარს ქარებს, მუწუკებს, უყენებს კანის ქავილსა და სხვანი, საქონელსაც ბეწვს უწმენდს და ქეცისაგან არჩენს.

სამწუხაროდ, ასეთი მარგებელი ლაფი ამ ჟამად სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული: იგი თავადების საკუთრებას შეადგენს, მაგრამ ერთი იმათგანი არა ფიქრობს სუფთად შეინახონ და შორიდგან საბანებლად მოსულ ხალხისათვის თავშესაფარი რამე გამართონ.

საიდგან და როგორ გაჩნდა ეს ახტალა. აი, ხალხური გადმოცემა ამის შესახებ რას მოგვითხრობს:

ერთხელ, ფერისცვალების დღესა ამ ადგილას მღვდელს კალო ულეწნია. ჩამოუვლია მგზავრის სახით ღმერთსა და უკითხავს მღვდლისათვის: „დღეს რომ ფერისცვალებაა, კალო რად გიბია, რადა ჰლეწამო?" მღვდელს უპასუხნია: „ჩვენმა ქალებმა დიდი ხანია რძიანით ფერი იცვალესო."

მაშინ ღმერთს უბრძანებია მღვდლის ცოლისათვის: „აიღე აკვანი შიგ მწოლიარე ბავშვით, შედგი მხარზედ და გასწი, უკან აღარ მოიხედო, თორემ ქვად იქცევიო". მღვდლის ცოლსაც აუსრულებია ბრძანება, შეუდგამს [illegible] ნი და წასულა, მაგრამ არ გაუვლია დიდი მანძილი, ვერ მოუთმენია ჲ მოუხედნია რომ დაენახა, სხვებ რა მოუვიდათ, და მაშინვე-კი ქვათ ქცეულა აკვნიან-ბავშვიანათ. ეხლაც ეს ქვა ქალა-ქვას სახელით იქვე გდია. ღმერთმა მღვდლის კალო თურმე დასწყევლა და სუყველაფერი შთაინთქა მღვდლიანათ, დაიღუპა.

ამ ადგილას შემდეგ წყალ-ლაფი ვეძა ამოვიდა, რომელსაც ახტალა დაარქვესო. უწინ აქ მარტო საქონელს აბანებდნენ; ახლა-კი თავადებიც ბანაობენ ხოლმე. აი, ამიტომ იტყვიან:

„კამეჩების ახტალაო,
სათავადოთ გამხდარაო".

თომა კახელი.

—

აჭარა. ჩვენში ამბავი მოვიდა, რომ ამ შემოდგომაზედ აჭარაში ამობრძანდება ყველა ქართველისაგან დიდად პატივცემული გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე, იგი მო- მოივლის აჭარას, ლივანს, შავშეთს და ზედა-აჭარას, ხულოსა ჰნახავს ახალს სამრეკლოსა და სკოლას, რომელიც ამ ბოლოს დროს და- ფუძნდნენ. მთელს ამ დიდს კუთხეში ქართველი მაჰმადიანები აგერ 20 წელიწადია სცხოვრობენ და ა ხნის განმავლობაში ქართველი ეპისკოპოსის სახე არ უნახავთ, პირველი მაგალითი იქმნება.

ზედა და ქვედა-აჭარას შემდეგ ქართული გაზეთები მოსდის: „ივერია" ორი ცალი, ქედას და ბარადიდს—„ცნობის ფურცელი" ერთი ცალი, ქედას „კვალი" ერთი ცალი, ხულოს,—სომხურს ენაზედ „მშაკ" ერთი ცალი. რუსული გაზეთები ძალიან მცირედ მოდის. ჩვენი დაქვეითება აქედგან, ეჭვი არ არის, ნათლადა სჩანს.

ს. გ.

ფელეტონი

⁂

ერთად-ერთად, ქვეყნის ღმერთად
გაჩენილო... უებარო!
წყლულის გულის, კრულის სულის
მალამოვ და მეგობარო!

—

დასაბამო, დასასრულო
ჩემის გრძნობა-გონებისო!
ერთად-ერთო შემაერთო
უფლების და მონებისო.

—

შენგან დაბმულს, შენით სულდგმულს,
შენს გარეშე არ მაქვს ძალი!..
ჩემ წარსულთან მსურს გამსხვერპლო
აწმყოცა და მომავალი.

—

ნუ გამწირავ, ნუ გამთირავ,
შემიწირე წვლილი მცირე!..
გრძნობა თბილი, სიტყვა ტკბილი
აიაზმად მომასხურე.

—

მაშინ მეცა მაღლით ზეცა
ვარდის ფერად გამილიმებს
და შენ საქებ-სადიდებლად
ავაჟღერებ გულის სიმებს:

—

ერთად-ერთო, ქვეყნის ღმერთო,
სწორ-უპოვარ, უებარო,
მიმქრალ სულის, დამჭკნარ გულის
გამნედლებელ მეგობარო!

აკაკი

ჭკიპურტი

ჩვენი გამოფენა და მისი მოლოდინი.—სახელი და სახრავი.—სასტუმრო და სცენა.—ყვირილელი „პერეოპიკი". —ქალაქის ფარდული და მისი ექსპონატები.—საყურადღებო სურათები და ქანდაკება.—კიდევ რამდენიმე ექსპონატი.

კიდევ რამდენიმე დღე და გამოფენილნი ვიქნებით. თუ ჩვენის, ანუ, უკეთ ვთქვათ, „კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის ჭირისუფალთ დავუჯეროთ, 2 სექტემბერს გამოფენა გამოფენილი იქნება, მაგრამ, მოგეხსენებათ, „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა", ხოლო საქმე-კი ჯერ კიდევ დასამთავრებელი იმდენი აქვს გამოფენას, რომ ძნელად თუ ოქტომბრისათვის მოესწროს. ტფილისის გაზეთები-კი დიდს მითქმა-მოთქმაში არიან, მასალა იშოვეს ჲ გააქვთ და გამოაქვთ. ჯერ მარტო ბ-ნს სარაჯიშვილს თავისი საგამოფენო ჯიხვი არ დაუჯდებოდა იმ ფასად, რაც ამ ჯიხვის შესახებ წერით რედაქციებს გარდაახდევინეს მისმა თანამშრომლებმა. მართალია, ეს ჯიხვი მშვენიერი სანახავია იმ ხავს-მოკიდებულ კლდის ნაპრალითურთ, რომელზედაც იგი ლამაზად ყელ-მოღერებული და რქებ-გაშვერილი სდგას, მართალია, მთელი ეს საოცნებო სურათი—კლდე ჯიხვითა და ზედ დაქანებულ წყაროთურთ თვალია მთელის გამოფენისა, მაგრამ...

მაგრამ მე ეს გამოფენა ამ მხრივ არ მაინტერესებს, რადგან ყოველივე ეს წვრილმანია, ერთი რომელიმე კუთხე-კუნჭული გამოფენის გარეგან მშვენიერებისა. ამ წვრილმანებმა-კი არ უნდა დაგვავიწყოს, რომ ეს გამოფენა მთელის საქართველოს გამოფენაა, მან უნდა აღნიშნოს სავსებით ვითარცა უტყუარმა სარკემ ჩვენი კულტურული ზრდა და განვითარება იმ ბედის ჩარხის მოტრიალების შემდეგ, რომელიც ჟამთა მიმდინარეობაში გარემოებათა ცვალებადობამ მოუვლინა საქართველოს ამ ასის წლის წინად. გამოფენამ უნდა გვიპასუხოს: რა იყო საქართველო ამ ასის წლის წინად და რა არის ეხლა, და ამ პასუხს-კი გზად იმდენი ოღრო-ჩოღრო, ღრანტე და მისახვევ-მოსახვევი ადგილები აქვს, რომ იმისს მშვიდობიანად გავლას რამდენსამე თვეში ხელსწრაფად შეხანხლული გამოფენა ვერ მოგვახერხებინებს, რაც უნდა ეცადოს საუკულმართოს მიფანიერებასა და საწალმართოს გაზვიადებას.

ხუმრობა საქმე არ არის ჩვენის ცხოვრებისა და მისის ამ ასის წლის განმავლობაში ცვლილების აღნიშვნა და გათვალისწინება. ვშიშობ, ვაითუ სახელმა სახრავობა ვერ გასწიოს და ის ჩვენი მცირე ავლადიდებაც, რომელიც კატას თავისუფლად აეკიდება, თავისის ღირსებანაკლით უცხოსა ჲ უვიცს შინაურს თითებს შუა გამორჩეს. ვნახოთ, რა გამოვა რისაგან, მხოლოდ მე-კი ეხლავე დარწმუნებული ვარ, რომ აწინდელი საასწლეო გამოფენა არაფრით ემჯობინება ამ რამდენისამე წლის წინად ტფილისშივე გამა
თულს კავკასიის გამოფენას და იმას
და ამას შორის თუ რაიმე განსხვავებ
იქმნება, ისეც ის, რომ აწინდე
გამოფენას თან ახლავს ჩაღლეებ
ტრფიალეთა დამკამყოფილებ
სადგური და ამ სადგურს—სტ
რომელზედაც კოტე მესხის
გამოფენიდან დაბრძანებული ბა
ვანნი „ტრულალას" დასძახებენ
მშვენიერ ელენეს სამოსელში
ტუტუტუს დაუკრიან.

აი, გამოფენაზედ ყველაზე მ
ადგილი ამ სასტუმროს ჲ სცენ
აქვს დათმობილი... სასტუმრო
მელებით ჲ სცენა მოკა
მოცეკვავე ქალებით!.. რასაკვირ
ლია, ესეც ღირს-სახსენებე
იგიც თავისის მხრივ უტყუა
მნიშვნელოვანი იქნება ჩვენის ასის წ
განვითარების ისტორიისა. ჩვენს ცხ
ვრებაში გარმონისტ მოსწავ
მოცეკვავე ქალებს ჲ სასტუმრო
საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავ
ცოდვა იქნებოდა, რომ გამოფ
ნას უყურადღებოდ დატოვე
ეს მოვლენა ჩვენის ცხოვრების
კარგი იქნებოდა, რომ ამ გ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. „Frankfurter Zeitung“-ში მოთავსებულია კორესპოდენცია კაპშტადიდგან, რომელიც კარგად ხატავს კაპის ახალშენის მდგომარეობას:

„ამჟამად ინგლისელები იბრძვიან არა მარტო სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკათა დაპყრობისათვის, არამედ კაპის ახალშენის დაცვისათვისაც. ინგლისელების წინააღმდეგ აჯანყება და უკმაყოფილება თანდათან უფრო მწვავდება ჩრდილოეთიდგან სამხრეთამდის და ინგლისელები ამაოდ იბრძვიან: მათ ძალიან ცოტა ჯარი ჰყავთ ამ არეულობის ჩასაჩერებლად. ეხლა კაპის ახალშენში მრავალი ჰოლანდიელი მცხოვრები რომ საშიში არ იქმნეს, ინგლისელები აიძულებენ ყველა ჰოლანდიელთ ინგლისის ჯარში შესვლას. ინგლისი აქ იმ პრინციპით ხელმძღვანელობს, რომ „ვინც ჩემი მხრე არ არის, ის ჩემი წინააღმდეგიაო“, და ყველა გლეხს-ფერმერს ამა თუ იმ რაზმში აყენებენ. თუ აფრიკანდერმა წინააღმდეგობა გაუწია, დააპატიმრებენ და წაიყვანენ პორტ-ალფრედში, სადაც ინგლისელებმა გამართეს დიდი „კონცენტრაციული ბანაკი“ ამისთანა მოწინააღმდეგეთათვის. ანა და ასეთს აფრიკანდერს დააბრალებენ, ბურებს მიემხროო და გამოძიებას იწყებენ, ხოლო საბრალო „დამნაშავეს“ ციხეში ამწყვდევენ. მაგრამ აფრიკანდერი არჩევს ყველა ამ ვაი-ვაგლახის ატანას და მაინც არ შევა ინგლისელთა ჯარში, რომელიც ბურებს ებრძვის.

აფრიკანდერთა საყოველთაო აჯანყება აუცილებელია და მაშინ ინგლისის ჯარში ძალად შეყვანილნი ჰოლანდიელნი ბურთა მხარეზედ გადავლენ. ახლაც აფრიკანდერნი ხშირად გადიან ხოლმე ბურთა რაზმებში. ინგლისელები როცა დაიჭერენ ამ გაქცეულს აფრიკანდერებს, ჩამოახრჩობენ და ამ სასჯელს ახლომახლო მცხოვრებთ აყურებინებენ, ვითომც შიშის ზარს დავსცემთო, მაგრამ პირიქით ასეთი სასტიკი ზომები ზიზღს იწვევს მხოლოდ მცხოვრებთა შორის. ინგლისელები სცდილობენ აგრეთვე სამხედრო სამსახური ნემეც ახალ შენელებსაც დააკისრონ, მაგრამ ამას წინ აღუდგა გერმანიის ელჩი კაპშტადტში.“

ჰოლანდია. საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს წევრი დე-ეტურნელ-დე-კონსტანი შეეკითხა „Temps“-ის რედაქტორს: „რა დაემართება საერთაშორისო სამედიატორო სამართალსაო?“ მისის აზრით, აწინდელ გარემოებაშია სათავე მთავრობათა და კაცობრიობის შორის განხეთქილებისა. ყველა ერის საზოგადო ოცნებაა ზავი. ორის წლის წინად გააგაში მათ იმედი ჩაესახათ. პირველად შეიკრიბა კონფერენცია, რომელიც არ ეხებოდა მთლად არც პოლიტიკას, არც მეცნიერებას, არც ევროპას, არა მსჯელობდა სახელმწიფოთა მეთაურების პატივ-მოყვარეობაზედ, არამედ კონფერენციამ გადაჭრილი პროტესტი გამოუცხადა ომიანობა-დაპყრობას და ადამიანობის წარმომადგენელი შეიქმნა.

ამაში მდგომარეობდა გააგის მანიფესტაციის სიდიადე, მაგრამ ამაშივე იყო მისი სუსტი მხარეც, იმისათვის რომ საზოგადო კიბის უმაღლეს საფეხურებში მას უნდა გამოეწვია იმდენი უკმაყოფილება და საიდუმლო მტრობა, რამდენიც აღტაცება და კმაყოფილება გამოიწვია მან ხალხში. და თუ იგი მაინც არ დამარცხდა, ეგ სწორედ სასწაული იყო. მისი დამარცხება დიდი საშიშროების წყარო შეიქმნებოდა: გამოიწვევდა საერთაშორისო განხეთქილებას და შინაგან პროტესტებს მთავრობისადმი, რომელიც პასუხის მგებელია დამარცხებისათვის. ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ კონფერენციამ ჯერჯერობით მიაღწია მხოლოდ სამედიატორო სამართალს და არა საყოველთაო იარაღის აყრას. გააგის კონფერენციის დღიდგან დაარსებულ იქმნა მუდმივი საერთაშორისო სამედიატორო სამართალი, რომელიც მზადაა ყოველ გვარი აყალმაყალი განიხილოს. ეგ დიდი და წარმოუდგენელი წარმატებაა, რადგანაც საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით მთავრობანი ძალა-უნებურად მიმართავენ ხოლმე სამედიატორო სამართალს. ერთბაშად ვერ მიაღწევს ამ სამართლამდის ისეთი საქმეები, როგორიც ტრანსვაალისა და ჩინეთისაა, მგრამ იგი წინაპირველად პატარა საქმეებს გადასწყვეტს და თან-და-თან ჩვეულებაც შემოვა, გააგის სასამართლოსაკენ გზას ყველა გაიკვლევს და როგორც პოლიტიკურისა, ისე სამოქალაქო საქმეების იურიდიული გადაწყვეტა ჩვეულებრივ კანონად შემოვა, ხოლო ნაძალადევი გადაწყვეტილება იშვიათად მოხდება.

დიახ, როგორც დე-ტურნელ-დე-კონსტანი დაძენს ამ სამედიატორო სასამართლოს დაარსება იწყებს ახალს ხანას კაცობრიობისათვის. ხოლო გააგის სამედიატორო სასამართლოს დაარსებას საზოგადო სიჩუმით მიეგებნენ. ეს ამბავი აიხსნება ზოგიერთი სახელმწიფოს უკმაყოფილების გრძნობით. მათ ვერ შესძლეს, რომ კონფერენცია ჩაეგდოთ, რადგანაც მაშინ მთელი და ნარჩენი კაცობრიობა მათ ზურგს შეაქცევდა, მაგრამ სხვა საშუალება გამოსძებნეს მის წინააღმდეგ: ვერ შესძლეს მათთვის არა სასურველ დაწესებულების დაბადება შეეჩერებინათ, მაგრამ ისინი მას ვერ აცოცხლებენ. ამ უკანასკნელ დროში გამოჩნდა ისეთი საქმეები, რომელთა განხილვა შეეძლო გააგის სამედიატორო სასამართლოს. ეს ორი საქმე საფრანგეთსა და ინგლისის შეეხება. მაგრამ ორმავე მთავრობამ გააგის სასამართლოს გვერდი აუარა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ამ დღეებში მდინარე ტემზას თავი მიანება და სამხრეთ პოლიუსისაკენ გაემართა „Discovery“. ამ გემზედ ინგლისელთა ექსპედიციაა, პოლიუსის მახლობლად მდებარე ადგილების გამოსაკვლევად წასული. ექსპედიციას უფროსობს კაპიტანი სკოტტი. იმედი აქვთ, პირველ დეკემბრამდე ახალ ზელანდიაში ჩავლენ, სადაც ორ კვირას დაჰყოფენ და შემდეგ პირდაპირ სამხრეთისაკენ გასწევენ. ექსპედიციის მომზადებას დიდძალი ფული დასჭირდა. ინგლისის მთავრობამ ამისათვის 450,000 მანეთი გადასდო, ამდენიც ხელის მოწერით იქმნა შეკრებილი. ექსპედიცია სულ სამს წელიწადს დაჰყოფს მგზავრობაში.

⁂

როგორც ინგლისურ გაზეთებს სწერენ, პოლიარულ ქვეყნებში არასოდეს არა ყოფილა ისეთი სიცხეები, როგორიც ამ ზაფხულს იყო თურმე. სიცხის გამო ყინულის უზარ-მაზარი ლოდები მოსწყდა ჩრდილოეთში ყინულის კლდეებს; ეს ლოდები ზვავას ატლანტიის ოკეანეს შუა გულამდე ჩამოუტანია. ევროპიდგან ნიუ-იორკსა და კანადაში მიმავალ გემებს გზაში უნახავთ ყინულის ქვები, ზოგიერთი ქვის სიმაღლე 150 ფუტი ყოფილა.

⁂

ნეაპოლში ამას წინად გარდაიცვალა შესანიშნავი მხატვარი დომენიკო მორელლი. მორელლი დაიბადა 1826 წელს, სწავლობდა იგი ნეაპოლის სამხატვრო აკადემიაში, სენატორად იყო 1886 წლიდგან. ამას გარდა მორელლი აკადემიის საპატიო წევრადაც იყო. მორელლის სურათებს შორის უფრო შესანიშნავია: „მაჰმადის ლოცვა ბრძოლის წინ“, „ტორკვატო ტასსო“, „ცეზარ ბორჯვია კაპუაში“ და სხვანი.

⁂

შვეიცარიის სასანიტარო გამგეობას მიუმართავს გზათა დეპარტამენტისათვის და უთხოვნია შემდეგი ზომები მიიღოს ჭლექის წინააღმდეგ საბრძოლველად: 1) ყველა სადგურსა, ვაგონსა, ბიუროსა და სხვა სადგომში დიდრონი განცხადებანი უნდა იყოს გაკრული ფრანგულსა, ინგლისურსა, ნემეცურსა და იტალიანურს ენებზედ დაბეჭდილი. ამ განცხადებებით უნდა აღკრძალოს ყველას იატაკზედ ფურთხება. 2) დასახელებულ სადგომებში უნდა დაიდგას ბლომად საფურთხებლები ისეთის კონსტრუქციისა, რომ მათი გაწმენდა და დეზინფექცია ადვილი იყოს. 3) ესევე სადგომები ყოველ დღე უნდა გაირეცხ-გაიწმინდოს ხოლმე. 4) სახალხო მატარებლების ახალი ვაგონები ისეთი უნდა იყოს, რომ მათი გაწმენდა და დეზინფექცია დაბრკოლებას არ წარმოადგენდეს.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

17 აგვისტო.

კონსტანტინეპოლი. ანატოლიის რკინის გზის საზოგადოებას გუშინ საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა გადასცა, სულთანის ირადეს ძალით დამტკიცებული, წესდება სანავთ-სადგურო საზოგადოებისა ხაიდერ-პაშტში.

კონსტანტინეპოლი. თუმცა გარეშე საქმეთა მინისტრმა თევტიკფაშამ 11 აგვისტოს ნოტით აცნობა საფრანგეთის ელჩს კონსტანს, რომ საყოველთაო საცნობელად გამოქვეყნებულია ირადე, რომლის ძალითაც დოკებისა და სანაპიროების საზოგადოებას თავისი უფლებანი დაუბრუნდა, და თუმცა კონსტანმა, ამის ძალით, განაცხადა, რომ კმაყოფილი ვარო, მაგრამ თვით ირადე გუშინ სალამომდე არ მიეღო პორტას.

ქრისტიანია. „Morg“-ს სწერენ გამმერფესტიდგან, რომ „ფრიტიოფის“ კაპიტანმა, რომელიც ფრანც-იოსების მიწიდგან დაბრუნდა, დიდი ფოსტა მოიტანა ბალდვინისა და ყინულის საპონ გემის „ერმაკისაგანო.“ კაპიტანს სამის კვირის წინად ადმირალ მაკაროვთან ულაპარაკნია. „ერმაკიი უნაყოფოდ ცდილა ყინულის გაპობას. გემს 40 მილის მოვლა მოუხდა, რათა ახლომიწიდგან ფრანც-იოსების მიწამდე მისულიყო და ბალდვინი ენახა.

კიევი. დაიწყო საკონკურსო ეგზამენები საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში. ეგზამენის დაჭერის ნება 730 კაცს მიეცა, მათ შორის 41 ებრაელს. უნივერსიტეტში ახლად შემსვლელი 665 კაცია, ამათგან 160. ებრაელი.

მოსკოვი. 14 მილიონის სესხის აღება წყლის მილის გასამართავად ნება დართულ იქმნა ახალ პირობით. ამ სესხის დახარჯვა შეიძლება მხოლოდ გუბერნატორისა, სახაზი-

---

ფანზედ ერთი კუთხე დაეთმოთ ყვირილის, ამ ერთ-არს სამ-პიროვან მიხეილ გაჩეჩილაძის სამშობლოს, მომრიგებელ-მოსამართლესა და მისი თარჯიმანის, ანუ, ზედ გამოჭრით რომ ვთქვათ, „პერეოჩიკისათვის“, რომელმაც 10 მკათათვეს ისახელა თავი. ამ დღეს ყვირილის სასამართლოში ირჩეოდა საქმე მ. ჩა—შვილისა, რომელსაც ბრალი ედებოდა, რომ მ. კ—შვილისათვის ეცემნა. მოსამართლეს ქართულისა ისე არა ესმის-რა თურმე, როგორც მომჩივან-მოდავეთ [illegible] რუსულისა. მოსამართლემ როდესაც ჰკითხა მომჩივანს და „პერეოჩიკმა“ ასე გადუთარგნა: „რატომ უფრო მეტი არ გირტყა და [illegible] არ გაგლახა? იცოდე, კიდევ ბევრს გირტყამსო“. მოსამართლე იჯდა და არა ესმოდა-რა, თუ მისი ხელ-ქვეშითი როგორ სწყვეტდა მის ცხვირ-წინ წაღმა-უკუღმად სამართალს. ხალხს ეგონა, მოსამართლე გვეუბნება ამ უსამართლო სიტყვებსაო, და მოსამართლეს-კი— მისი ხელ-ქვეშითი სწორედ იმასა [illegible], რაც მე დავავალეო. აბა იქ რა სამართალი უნდა გადიჭრას, სად მართალ-მტყუანის მოციქულნი ყვირილის „პერეოჩიკისთანა“ რვა მანეთიანი მოხელეები არიან და მათდა სათრეველად გამხდარს სასწორს მართლ-მსაჯულებისას საითაც უნდათ, იქით გადაჰხრიან.

საერთოდ-კი ჩვენის გამოფენის ჰირისუფალნი რომ ეცადნენ, ბევრს საყურადღებოსა და საინტერესოს მოსძებნიდნენ გამოსაფენად. მაინც, როგორც ამბობენ, ზოგიერთი ექსპონატი მისთა მნახველთა დიდად გულის-ხმასა შინა შთასაგდებთ იქნება თურმე. მაგალითებრ, როგორც ვუწყით, გამოფენაზედ საკუთარი ფარდული ექმნება ჩვენს ქალაქის თვით-მართველობას. ამ ფარდულში იქმნება თურმე გამოფენილი ის „გულწრფელნი და საზოგადო სარგებლობით გამოწვეულნი განზრახვანი“, რომელთა გამოც საბჭომ დაადგინა,—ხმოსნები ერთს საარჩევანო კრებაზედ იქმნენ არჩეულნიო. აქავე შეხვდებით ნიმუშს ტფილისის ქუჩების გასანათებლად დადგმულ ფარნისას. ეს ფარანი ანთებული იდგმება თურმე იმის დასამტკიცებლად, რომ იგი ერთიორად უკეთ ანათებს, ვიდრე ჰრაკი და ქონის სანთელი, რომელსაც ასის წლის წინად ჰხმარობდნენ საქართველოში. აქავე ჰნახავთ ქალაქის ქუჩის მტვერს, დიდის ხნის წყურვილით ისე შემსუბუქებულს, რომ დედამიწაზედ თავი ველარ დაუჭერია და მიკრობების საბუდარად გარდაქცეული ჰაერში ტრიალებს მკვიდრთა ფილტვების დასათვალიერებლად.

გამოფენილი იქნება თურმე აგრეთვე ზრდილობიანობა ჩვენის პოლიციელებისა, ყასბებისა და თამამშოვის ქარვასლის ნოქრებისა—ეს სამივე სამს ცალკე ლამბაქზედ იწყობა და ბადით იქნება დახურული, რომ ნიავი არ მოჰხვდეს და „წვლილი იგი“ არსად მოიტაცოს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის ფარდულში გამოფენილი იქნება სააგარაკო მატარებელი, რომლის ვაგონებშიაც ისე იქმნებიან ჩაწყობილნი მოგზაურნი, როგორც კიტრები წნილის ქილაში.

იქავე იქმნება სურათი რკინის გზის ჯუმათის სადგურის უფროსისა, რომელიც მატარებლით ახლად მისულ ჟურნალ-გაზეთებსა ჰხსნის და ფეხის ტილოებადა ჰხმარობს. იმის შორი-ახლოს-კი ხელის-მომწერლები დგანან, ხელში უკვე პირამდე ავსებული მოთმინების ფიალა უჭირავთ და ლიანდაგს გაჰყურებენ,--როდის მოგვიტანს ჩვენ მიერ დაკვეთილს ჟურნალ-გაზეთებსაო.

საზოგადოდ სურათების განყოფილება დიდად საინტერესო უნდა იყოს: გამოფენილი იქნება წყნეთის ქუჩა ბავშვის სახით, რომელსაც ხელში ძვლის ბლითი ეჭირება. ბავშვი ეთამაშება ამ ბლითს, პირში იდებს, ჰლოღნის, მაგრამ ვერა დაუკლია-რა. ბლითს წარწერა ექმნება: „უკვე დამთავრებული ცხენის რკინის გზა“.

სალიტერატურო განყოფილებაში იქნება გამოფენილი რობერტ სტიგელის ქანდაკება. ამ ქანდაკებაზედ გამოყვანილია თურმე ჩვენი რაჭველი მუშა, რომელსაც ზურგზედ უშველებელი ტომარა ჰკიდია და ტომარაზედ კიდევ ორ-პირად გატენილი ხურჯინი ადევს. საბრალო მუშა წელში შვიდად მოკაკული და მიკნავებული ხმით გასძახის: „გვიშველეთ, ვიღუპებითო!“ მუშას ზედ აწერია „ცნობის ფურცელი“, ტომარას—„მოამბე“ და ხურჯინს—„სურათებიანი დამატება“.

ამ სურათს ახლოს გამოფენილი იქნება ის ქაღალდი, რომელზედაც 2001 წელს „წიგნების გამომცემელ ქართულ ამხანაგობის“ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანგარიში დაიბეჭდება.

აქავე შეხვდებით თურმე პარნასიდგან გამოგდებულს „მოგზაურის“ პოეტების მუზას, შესაბრალისად დაღრეჯილს, ფეხ-შიშველასა, თმაგაწეწილსა და ტანისამოს-შემოფლეთილს.

იქვე, მეორე მხარეს... მაგრამ დღეს ეს ვიკმაროთ.

ჩიორა

ნო პალატის გამგისა ᲓᲐ სახელმწიფო კანტროლიორის ნება-რთვით.

მოსკოვი. მთავრობის კომისიამ დაათვალიერა კუსტარევო-ზემეტჩინის რკინის გზა, რომელიც აერთებს მოსკოვ-ყაზანისა დაა სიზრან-ვიაზმის გზებსა ᲓᲐ ტიმრიაზეო-არზამასისას ყაზანის გზის ნიჟნი-ნოვგოროდთან შესაერთებლად. კომისია შესაძლებელად სცნობს, რომ ორსავე გზაზედ მატარებელთა წესიერი მიმოსვლა იქმნას დაწყობილი. არზამასიდგან ნიჟნი-ნოვგორომდამდე რკინის გზის დამთავრება განზრახულია ამავე წელს.

მოსკოვი. დღეს დაიწყო მოსკოვის მაზრის საერობო სკოლების მასწავლებელ ქალთა ᲓᲐ კაცთა კრება. კრებაზედ 200 კაცი გამოცხადდა.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი ᲓᲐ დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილე ბითურთ 17 აგვისტოს ზღვით დანიაში წაბრძანდნენ.

18 იგვისტო

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა: 1) შესდგეს შავის ზღვის საფლოტო დივიზიაში 1902 წლის 1 ივნისიდგან მეათე საფლოტო „ეკიპაჟი“ 73 ნომრით; და 2) დაწესდეს იმავე დროდმან პორტ-არტურში განსაკუთრებული საფლოტო „ეკიპაჟი“.

გამოქვეყნებულ იქმნა ფინანსთა მინისტრის ცირკულიარი სააქციზო გადასახადთა და სახაზინო პალატათა უფროსების მიმართ თამბაქოს წესდებაში ზოგიერთ ცვლილებათა შესახებ.

გამოქვეყნებულ იქმნა ბიულლეტენი მთავრის ევგენი მაქსიმილიანის ძის ჯანმრთელობის შესახებ: „17 აგვისტო, შუადღის 12 საათი. გულის ცემა თან და თან უსუსტდება; მაჯა სუსტი აქვს—120—132; სუნთქვა—32; ტემპერატურა—38,3“. „17 აგვისტო, საღამოს 9¹/₂ საათი. დღის განმავლობაში თვალსაჩინო ცვლილობა არა მომხდარა-რა; მაჯა ხან-და-ხან 130—140; სუნთქვა—36“.

მადრიდი. გარეშე საქმეთა მინისტრი უარსა ჰყოფს რუსეთის ელჩის სან-სებასტიანში გამგზავროების პოლიტიკურ მნიშვნელობას.

ტრომსე. გემი „ფრიტიოფი“, რომელიც ბალდვინის ექსპედიციას ახლდა, დღეს აქ მოვიდა. „ფრიტოფი“ გოფერის კონცხსა და ფილზეკის მიწასთან იყო, სადაც სახლია აგებული. 14 ივლისს „ფრიტიოფი“ ფრაც-იოსების მიწასთან მივიდა, სადაც „ამერიკა“ 5 აგვისტოს მივიდა, რადგანაც ამ გემმა დასავლეთით მეტად შორს გადაუხვია და ცუდი ამინდი შეემთხვა. 6 კაცი და ძაღლები გოფერის კონცხზედ დარჩნენ. „ამერიკა“ რამდენადაც შესძლებს ჩრდილოეთით წავა და ააგებს იქ სადგურს და ძაღლებს წაიყვანს გაფერის ბონცხიდგან. ექვსი ძაღლი მოკვდა, დანარჩენები კარგად არიან. წყალი თავისუფალია ყინულისაგან შორს მანძილზედ ჩრდილოეთით „ამერიკა“ შაბათს ჩრდილოეთისკენ წავიდა.

რეკეიავიკი. ალტინგის სესსია დღეს დასრულდა. ზედ პალატამ შეიწყნარა ადრესი მეფის მიმართ, რომელშიაც სურვილია გამოცხადებული, რომ დაუყოვნებლივ დანიშნულ იქმნას განსაკუთრებული ისლანდიის მინისტრი.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილიდ 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.). ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

სააგარაკო მატარებლები:

სააგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

სააგარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

განცხადებანი

ქალაქი იურიევი, ლიფლიანდის გუბ.

პირველის ხარისხის ვაჟთა კერძო სასწავლებელი

გუგონ ტრეფნერისა.

საერო გან. სამ. გიმნაზიის კურსით, მოსამზადებელ კლასებითა და **პანსიონით.**

მოსწავლეებმა ყოველ წელიწადს უნდა დაიჭირონ სწავლის დამთავრების ეგზამენი. მასწავლებელი ამზადებს სხვა-და-სხვა ეგზამენებისათვის, მაგალითად, სხვა სასწავლებელებში და სამხედრო სამსახურში შესასვლელად. განვლილ ნახევარ წელს სასწავლებლში ასწავლიდა 17 მასწავლებელი და სწავლობდა 285 მოსწავლე. მიღება მოსწავლეებისა შეიძლება ყოველთვის ნახევარის წლის განმავლობაში. წლოვანება დაბრკოლებას ვერ გასწევს მიღების დროს. სწავლის ფასი პანსიონში შენახვასთან ერთად ნახევარ წელიწადს 110 მანეთია. ძმებს ფასი დაეკლებათ. **სწავლა დაიწყება 16 აგვისტოს.** განცხადება ყოველთვის მიიღება. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება--პირადად და წერილობით—ქ. იურიევში, საკუთარ სახლში, „კონის“ ქუჩაზედ, № 2.

გუგონ ტრეფნერი.

(2—178—1)



როიალები

პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—б.—21)

ჭიათურის შავის-ქვის მწარმოებელთა საბჭო

აცხადებს, რომ ამა 1901 წლის 18 აგვისტოს საბჭოს სადგომში, ქუთაისს, მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ჭიათურაში საავადმყოფოსთან სადგომებისა (სამუშაო 1075 მან. 49 კაპეიკისაა) და ორის სამრეწველო გზის გამართვის საქმეები (სამუშაო 576 მან. 30 კაპ.), სულ 1651 მან. 79 კაპეიკისა. იჯარა ერთ კაცს მიცემა. მსურველთ ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარადგინონ ბე 10⁰/₀ საიჯარო თანხისა ნაღდ ფულად ან სარგებლიან ქაღალდებათ. ხარჯთაღრიცხვისა და პირობე'ის გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე საბჭოს სადგომში. ვაჭრობის შედეგი საბჭომ უნდა დაამტკიცოს. (3—б.—3)

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის

დირექტორი

აცხადებს საყოველთაოდ, რომ მოსწავლეების მიღება **უმცროს განყოფილებასა** და ახლად გახსნელ მოსამზადებელ კლ. სის **საშუალო განყოფილებაში** მოხდება 1901—1902 სამოსწავლ ო წლის 28 და 31 აგვისტოს. უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7-დგან 9 წლისანი უეგზამენოთ, საშუალოში—8—10 წლისა ეგზამენით.

თხოვნები მიიღება ორშაბათობითა, ოთხშაბათობითა და შაბათობით 10-დგან 1 საათამდე სასწავლებლის სადგომში. თხოვნას უნდა ახლდეს მოწმობანი დაბადებისა, წოდებისა, ყვავილის აცრისა და მათი პირები. უამ მოწმობებოდ თხოვნები მიღებული არ იქმნება.

მე-2 და 1 კ[illegible] მოსამზადებელში, თავისუფალ კანსიის უქონლობისა გამო, წავლეებს არ მიიღებენ.

(6—б.—6)

ფრიად საჭიროა იმათთვის, ვი

თმა სცვივ

მე, M-me
ნია ლავო, გამ
გონელი თმის
სამაგრებელ და
ზრდელ სითხ

„ფ ე ნ ო მ ე ნ ი ს ა,

ტფილისში ჩამოვედი და დავ ბი ძალიან ცოტა ხანს, რასაც უწყებ პატივცემულს საზოგადოე სითხე **„ფენომენი“** იხმარება კიკის, ნევრალგიისთ, თავისტ ლისა და სხვა ავადმყოფობის სარჩენად. მაქვს მრავალი მადლო წერილი იმათგან, ვინც ჩემ მ გამოგონილი სითხე იხმარა. მ ველთ ვიღებ დილის 10-დგან საათამდე და 2 საათიდგან 6- რჩევა-დარიგების ფასი—50 კაპ.

პატივისცემით ევგენია ლავ

ხსენებული სითხე „ფენომ ნება-დართულია სამკურნალო თველობისაგან, ქ. ოდესა, № 15

(4—167—4

პატივცემულ ქართველ საზოგადოებას



გვაქვს პატივი ვაუწ რომ ამ დღეებში ჩვენმა ვაჭრო ფირმამ საზღვარ-გა თიდგან მიიღო მრავალი ლისა და ფეხის საკე მაშინა სხვა-და-სხვა ფა კებისაგან. ჩვენი სავაჭრო რმა პირიანად ჰყიდის და-სხვა სისტემის მაშინ ამასთან მყიდველეს თმობ შინა მომეტებულ პრო ტით, ვიდრე სხვაგან ტფილისში, რისთვისაც მაშინის შეძენის მსურ ვთხოვთ მობრძანდეს და წმუნდეს სინამდვილეში.

ფირმის წარმომადგენ გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილი და დიმიტრი დავითის ძე ჯმუხაძე.

ადრესი: სიონის ქუჩა, მაისურაძის და ხოჯაფარუხოვის ქარვასლა, № მაღაზია და 53.

ტელეგრამის ადრესი: ტფილისი, ლაზარევი და ჯემუხაძე, ტელეფონი

(25—163-

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერ განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მ მზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნ

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 მოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერ ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰალტერია მარტ ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) სა მერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурн почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მი ბა დაიწყება 1 სექტემბრიდგან ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თ თმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, ხლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტო ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღ მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კან რაში, სიონის ქუჩაზედ,

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმარ კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—1

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го Августа 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**.